

WRO 2021-ის ონლაინ წესები

რეგულარული კატეგორია

რეგულარული კატეგორიის ონლაინ ფორმატი შემდეგნაირია. ცნობისთვის, ჩვენ ასევე გამოვყოფთ წესების ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტებს, რომლებიც ცვალებადია.

დამატებითი წესები ონლაინ ფორმატისთვის - რეგულარული კატეგორია

ა) თითოეულმა გუნდმა უნდა წარმოადგინოს მათ მიერ შექმნილი რობოტის გაშვებისა და მის მიერ შესრულებული ამოცანების გადაუჭრელი / უწყვეტი ვიდეო. ასევე, ამ რობოტის გაშვებისას გამოყენებული პროგრამის დოკუმენტაცია. აუცილებელია, ვიდეო იყოს გადაუჭრელი / უწყვეტი, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი სახის თაღლითობა ან მონტაჟი. გირჩევთ, გადაღებაში წინასწარ ივარჯიშოთ, რომ მნიშვნელოვან მომენტში ყველაფერმა კარგად ჩაიაროს. თქვენ დაგჭირდებათ რამდენიმე გაშვების გადაღება, რადგან არ იცით, რომელი დასრულდება საუკეთესო შედეგით. გუნდს შეუძლია მხოლოდ ერთი ვიდეოს წარდგენა. ფაილს უნდა დაარქვათ სახელი შემდეგნაირად:

GUNDISSAXELI_KATEGORIA_ASAKOBRIVIJGUFU_WRO2021

მაგ: MEMOVIGEB_STANDARTULI_UMCROSI_WRO2021

ბ) გუნდის მიერ ვიდეოსა და პროგრამის კოდის დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადა არის:

- 23:59 15 ივნისი, 2021 წელი

აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი ვიდეოები ავტომატურად დისკვალიფიცირდება. ამიტომ, ვიდეოს ატვირთვა უნდა დაიწყოს დედლაინამდე გარკვეული დროით ადრე, რომ გაუთვალისწინებელი მიზეზით არ დისკვალიფიცირდეთ.

გარდა ვიდეოებისა, გუნდმა უნდა ატვირთოს პროგრამის კოდის დოკუმენტაცია PDF-ფორმატში.

გ) რობოტის გაშვების ვიდეო უნდა შეიცავდეს:

- მთელს სათამაშო მოედანს და რანდომიზაციის პროცესს თამაშის ელემენტების პოზიციების დაზუმვით, რათა ჟიური დარწმუნდეს, რომ საწყისი აწყობა წესების შესაბამისია.
- რობოტის სრული ხედი ყველა მხრიდან (წრიული ვიდეო) და აგურების ახლო კადრი (დაზუმბებული ვიდეო) რათა ჟიური დარწმუნდეს რობოტი წესების დაცვით გაეშვა. აუცილებელია ვიდეოში აჩვენოთ, რომ Bluetooth და Wifi გამორთულია, ხოლო რობოტი მოცემულ 25x25x25 სმ ზომებშია. სიმაღლის გაზომვისთვის შეგიძლიათ გააკეთოთ LEGO-ს 26 ნაწილიანი სიმაღლის საზომი ხელსაწყო და გადაილოთ რობოტის გვერდით.
- რობოტის მოძრაობა დავალების შესრულებისას

- რობოტის გაშვების დასრულებისას (მიუხედავად შედეგისა), როდესაც რობოტი არ მოძეაობს, უნდა დაზუმოთ იმ ელემენტების საბოლოო პოზიციები, რომლებშიც იწერება ქულა.

თუ ვიდეოში არ არის შესრულებული რომელიმე ზემოთჩამოთვლილი პირობა, ჟიურიმ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება გუნდის მიმართ ჯარიმის გამოყენების შესახებ (უარყოფითი ქულების დაწერა, შედეგის შუაზე გაყოფა, შესრულების დროის დამატება).

დ) ვიდეოს შეფასებისას, დროის დასათვლელად ჟიური გამოიყენებს წამზომს. რობოტის გაშვება და მისი დრო იწყება რობოტზე „Start“ დილაკზე დაჭერით და სრულდება როდესაც:

- თუ 2 წუთი გავიდა. ჟიური აჩერებს ვიდეოს და ადგენს გუნდისთვის დასაწერი ქულების შესაძლებლობას მოცემულ დროით ჩარჩოში. ვინაიდან ჟიურის არ ექნება ყველა ელემენტის საბოლოო პოზიციების ყველა კუთხით გადაღებული დაზუმული მონაკვეთის ნახვის საშუალება, ქულა არ დაიწერება იმ ელემენტებისთვის, რომელთა პოზიციის სისწორეც შესაძლოა სადავო იყოს.
- ნებისმიერი მოვლენის შემთხვევაში, რომელიც გამოიწვევს რობოტის მიერ დავალების შესრულების შეჩერებას (მაგ.: გუნდის წევრი შეეხება რობოტს ან თამაშის რომელიმე ელემენტს, რობოტი დატოვებს სათამაშო მოედანს და ა.შ. იხილეთ ზოგადი წესები 6.12.).

კრიტიკულად მნიშვნელოვანია თქვენი ვიდეოების შემოწმება წარდგენამდე, რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენი რობოტი დავალებას ასრულებს 2 წუთში და რომ თამაშის ყველა მნიშვნელოვანი ელემენტის საბოლოო პოზიცია მკაფიოდ ჩანს.

ე) როდესაც ყველა ვიდეო წარმოდგენილია და ჟიური იწყებს შეფასებას, თითოეულმა გუნდმა უნდა დაადასტუროს ონლაინ მიღებული ქულა და ამ გზით მოახდინოს პროცესის დასრულება.

ვ) გუნდების რეიტინგი დადგინდება მათი შედეგების ჯამით. ფრეს შემთხვევაში გადამწყვეტი იქნება რობოტის მოქმედების დრო ორივე შეჯიბრისთვის (უფრო სწრაფი რობოტი უკეთეს ადგილს დაიკავებს).

ძირითადი წესები (გამოყოფილ ნაწილებზე, ძირითადად, გავლენა იქონია ონლაინ ფორმატმა)

2.10. გუნდებს არ შეუძლიათ ერთი და იმავე რობოტით ასპარეზობა. თუ გაჩნდება ეჭვი, რომ ორი ან მეტი გუნდი იყენებს ერთსა და იმავე რობოტს, მთავარი ჟიური გამოიძიებს საკითხს. დადასტურების შემთხვევაში კი, ეს გუნდები დისკვალიფიცირდებიან შეჯიბრიდან.

6.12. ზოგადი წესებით განსაზღვრული f პუნქტის ნაცვლად რობოტის გაშვების დასრულების შესახებ, ვრცელდება "ონლაინ ფორმატის დამატებითი წესების" წესები.

6.13. გუნდები მიიღებენ ონლაინ შეტყობინებას მათ მიერ მოპოვებული ქულის შესახებ, რომელზე თანხმობის შემთხვევაშიც იგი უნდა დაადასტურონ. დადასტურების გარეშე, გუნდის ქულა არ აისახება საბოლოო შედეგებში. ქულების შესახებ ნებისმიერი პრეტენზია შესაძლებელია დაფიქსირდეს წერილობით 8 ივნისის 23:59-მდე ელ.ფოსტაზე: wro.georgia@gmail.com

6.14. საბოლოო რეიტინგი დაანგარიშდება "ონლაინ ფორმატის დამატებითი წესების" წესის h პუნქტის მიხედვით.


8. გვესურს დავადასტუროთ, რომ მიუხედავად ონლაინ ფორმატისა, ყველა წესი აკრძალვების შესახებ ძალაში რჩება. განსაკუთრებით გვესურს ვთხოვოთ გუნდებს, ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ იქცევიან ან რას ამბობენ ჩანაწერებზე. ვიცით, რომ ემოციები შეიძლება ძალიან ძლიერი იყოს.

უმცროსი ასაკობრივი კატეგორია

3. თამაშის ობიექტები, პოზიციები, შემთხვევითად განაწილება („რანდომიზაცია“)

ონლაინ ფორმატიდან გამომდინარე, ვეცადეთ გაგვემარტივებინა რანდომიზაცია. უმცროსი ასაკობრივი ჯგუფისთვის ის იქნება შემდეგნაირი:

- განათავსეთ სვეტი, როგორც გსურთ, მაგრამ თითო სვეტი უნდა იყოს თითო მწკრივზე.
- გააგორეთ 6 წახნაგიანი კამათელი. გაგორება განსაზღვრავს პარკინგის შესასვლელ ზოლზე მოსაცდელი მანქანების რიგითობას. პირველი და მეორე გაგორება განსაზღვრავს მწვანე მანქანების რიგს, მესამე და მეოთხე გაგორება - ლურჯი მანქანებისას, ხოლო წითელი მანქანები დაიკავებენ დარჩენილ ადგილებს. თუ გაგორებისას წინა შედეგი გამეორდება, უბრალოდ გააგორებთ თავიდან. (მაგ. თუ გაგორების შედეგები არის: 2, 3, 1, 5, მაშინ მანქანები განლაგდებიან შემდეგი თანმიმდევრობით: ლურჯი, მწვანე, მწვანე, წითელი, ლურჯი, წითელი).



- საპარკინგე სივრცის რიგში მდგომი პირველი მანქანის ფერის შესაბამის საპარკინგე ადგილზე შემთხვევითად განათავსეთ ლობე. მეორე ლობე ასევე შემთხვევითად განათავსდება რიგში მდგომ შემდეგი ფერის მანქანის შესაბამის ფერ საპარკინგე ადგილზე. ეს ნიშნავს, რომ თუ საპარკინგე რიგში მდგომი პირველი სამი მანქანა არის მწვანე, ლურჯი და წითელი, პირველი ლობე განათავსდება მწვანე საპარკინგე ადგილზე, მეორე ლობე - ლურჯზე. თუ საპარკინგე ადგილზე რიგი არის შემდეგნაირი: მწვანე, მწვანე და ლურჯი, იგივე შედეგი დადგება, რადგან მწვანის

შემდეგ პირველი მომდევნო ფერი არის ლური (მეორე მანქანა, რომელიც პირველის მსგავსად მწვანე ფერისაა, გამოტოვებულია). ერთსა და იმავე მწკრივში ისევ არ შეიძლება ორი ლობის არსებობა.

- ახლა თქვენ შეგიძლიათ განათავსოთ პარკირებული მანქანები, როგორც გსურთ, მაგრამ იმ ძირითადი წესების დაცვით, რომ ლობის მქონე საპარკინგე ადგილზე ვერც ერთი მანქანა ვერ განთავსდება; წითელი მანქანები განთავსდებიან მწვანე ან ლურჯ საპარკინგე არეში, მაგრამ ლურჯი და მწვანე მანქანები ყოველთვის დგებიან მხოლოდ თავიანთ ფერებზე.